

საქართველოს კანონი

„სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 16.01.2006, მუხ. 17) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის II–II⁷ პუნქტები:

„II¹. საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან:

ა) 90-ე დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასურია 100 ლარი;

ბ) მე-60 დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასურია 200 ლარი;

II². საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან:

ა) 30-ე დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის მომსახურების საფასურია 100 ლარი;

ბ) მე-20 დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის მომსახურების საფასურია 200 ლარი;

გ) მე-10 დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის მომსახურების საფასურია 300 ლარი.

II³. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან:

ა) 30-ე დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასურია 100 ლარი;

ბ) მე-20 დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასურია 150 ლარი;

II⁴. დროებითი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების შეტანიდან ნებართვის:

ა) 30-ე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 180 ლარი;

ბ) მე-20 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 300 ლარი;

გ) მე-10 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 380 ლარი.

II⁵. საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების შეტანიდან ნებართვის:

ა) 30-ე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 180 ლარი;

ბ) მე-20 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 300 ლარი.

116. ემიგრაციის ნებართვის შესახებ განცხადების შეტანიდან ნებართვის:
ა) 30-ე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 60 ლარი;
ბ) მე-20 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 160 ლარი.

117. მოქალაქეობის დადგენის შესახებ განცხადების შეტანიდან დასკვნის:
ა) მე-15 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდებიან;
ბ) მე-5 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 30 ლარი;
გ) მე-3 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 50 ლარი;
დ) იმავე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 75 ლარი.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი